

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის  
ოქმი: 13

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შენობაში 2018 წლის 29 მარტს, 16:00 სთ–ზე.

**ამოცანები:**

აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების მონახაზისა და სამუშაო პროცესის ფორმატზე შეთანხმება.

**ესწრებოდნენ:**

<i>თამარ გაბუნია</i>	URC, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
<i>ირმა ხონელიძე</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე
<i>ეკა ადამია</i>	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
<i>ია ყამარაული</i>	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
<i>ქეთევან გოგინაშვილი</i>	შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
<i>ქეთევან სტვილია</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მენეჯერი
<i>ცირა მერაბიშვილი</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
<i>მაკა დანელია</i>	გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი
<i>ანა ჩაგარიძე</i>	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
<i>ელისო ბიჭაშვილი</i>	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი
<i>ქეთევან ჩხატარაშვილი</i>	კონსულტანტი
<i>ნინო წერეთელი</i>	კონსულტანტი, „თანადგომა“
<i>ნატალია ზაქარეიშვილი</i>	გაეროს აივ/შიდსის თემატური ჯგუფი - გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგრამების ანალიტიკოსი
<i>დავით ანანიაშვილი</i>	საქართველოს პლიუს ჯგუფი
<i>დავით კახაბერი</i>	თანასწორობის მოძრაობა
<i>გიორგი გოგუა</i>	ახალი ვექტორი
<i>მაკა გოგია</i>	საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი, გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროგრამის დირექტორი
<i>ნათია მორჩილაძე</i>	ექიმების საზღვრის გარეშე

<i>ნინო ბადრიძე</i>	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრი
<i>ნინო ლომთაძე</i>	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, ეპიდზედამხედველობისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, გლობალური ფონდის ტბ პროგრამის კოორდინატორი
<i>ნანა ნაბახტველი</i>	ადგილობრივი ფინანსური აგენტი (LFA)
<i>ირინა გრძელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
<i>ნათია ხონელიძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
<i>თამარ ზურაშვილი</i>	პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ქ-ნმა თამარ გაბუნია**მ, რომელიც მიესალმა დამსწრეებს და გააცნო შეხვედრის მიზანი: აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების მონახაზისა და სამუშაო პროცესის ფორმატზე შეთანხმება. მან აღნიშნა, რომ ქვეყანა ემზადება გლობალური ფონდის ახალი განაცხადების მოსამზადებლად 2019-2022 წლების პერიოდისთვის, რომლის წარდგენის საბოლოო ვადა არის 2018 წლის 6 აგვისტო. აღნიშნული პროცესისთვის საჭიროა აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის სტრატეგიული გეგმების განახლება (მოქმედი სტრატეგიების ვადები: აივ/შიდსისთვის იყო 2016-2018 წლებისთვის, ხოლო ტუბერკულოზის შემთხვევაში 2016-2020 წლებისთვის) და პრიორიტეტული მიმართულებების გადახედვა, რაც შემდგომში შესაბამისად აისახება გლობალურ ფონდში წარსადგენ დაფინანსების მოთხოვნის განაცხადში. აღნიშნა ისიც, რომ გარდამავალი გეგმის აივ და ტუბერკულოზის აქტივობების ინტეგრაცია მოხდება შესაბამის სტრატეგიებში. გეგმების შემუშავების პროცესში ძირითადი საკონსულტაციო პლატფორმა იქნება პოლიტიკის და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი. პასკ-ის შეხვედრებს შორის ჩატარდება თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციები ძირითად ინფორმატორებთან. სტრატეგიების დოკუმენტების შექმნა მოხდება ერთიანი პროცესისა და კონსულტაციების რეჟიმში ყველა დაინტერესებული მხარის (შჯსდს, დკსჯეც, გლობალური ფონდის გრანტების ძირითადი მიმღები, სერვისის მიმწოდებლები, სამოქალაქო და სათემო საზოგადოება და კერძო სექტორი) მონაწილეობით. პასკ-ის მიერ შეთანხმებული საბოლოო დოკუმენტები წარედგინება ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს შესათანხმებლად. სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესი დასრულდება 2018 წლის ივნისის ბოლოს.

ქ-ნმა თამარმა სიტყვა გადასცა **ქ-ნ ქეთევან ჩხატარაშვილს** (ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, იგი მუშაობს საქართველოს 2019-2022 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე), რომელმაც წარმოადგინა საქართველოს 2019 – 2022 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმის მონახაზი და გეგმის შემუშავების დროში გაწერილი გრაფიკი. მან

აღნიშნა, რომ მასთან ერთად სტრატეგიის დოკუმენტზე იმუშავებს გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ დაქირავებული კონსულტანტთა ჯგუფი.

**ქ-ნმა თამარ გაბუნია** (ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, იგი მუშაობს საქართველოს 2019-2022 წლების ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე) წარმოადგინა ტუბერკულოზის სტრატეგიული გეგმის ჩარჩო, ისაუბრა გეგმის განახლების საჭიროებაზე, მეთოდოლოგიაზე, სტრატეგიის პრიორიტეტებზე და დოკუმენტის მომზადების ძირითად ეტაპებზე და ვადებზე.

დისკუსიის შედეგად პასკ-ი შეთანხმდა, რომ კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმების მონახაზები ყოვლისმომცველია, მასში ასახულია ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრიორიტეტი და მუშაობა გაგრძელდება გამჭვირვალე და თანამონაწილეობით პროცესში.

გეგმების შემუშავების პროცესში თემის აქტიური ჩართულობის შესახებ დისკუსიის შედეგად გადაწყდა, რომ აივ/შიდსის სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესში სათემო კონსულტაციების უზრუნველყოფისთვის სადისკუსიო პლატფორმა იქნება ECUO-ს პროექტის ფარგლებში შექმნილი სათემო ორგანიზაციების კონსორციუმი, ხოლო ტუბერკულოზის შემთვევაში – ტუბერკულოზის კოალიცია. გარდა ამისა ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პასკ-ის შემადგენლობაში შემავალი თემის წარმომადგენლები პასუხისმგებელი არიან სხდომებზე განხილული საკითხების თავიანთ თემში გავრცელებაზე და ასევე თემის პრობლემების კომიტეტში გაზიარებაზე.

შეხვედრაზე **ბ-ნმა დავით კახაბერმა** გააკეთა განცხადება, რომ მსმ კომპონენტის გაფასების საკითხში უზრუნველყოფილი იქნება ECOM-ის მხარდაჭერა და კოორდინაციის პროცესში საკონტაქტო პირი იქნება ბ-ნი პაატა საბელაშვილი.

**ქ-ნმა ქეთევან სტილიამ**, გლობალური ფონდის აივ პროგრამის მენეჯერმა, გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ შედგა ეროვნული კონსულტაცია აივ სავარაუდო შემთხვევების განსაზღვრასთან დაკავშირებით და 2017 წლისთვის ეს რიცხვი განისაზღვრა 10500 შემთხვევით. ეროვნული კონსულტაციების შედეგად შეთანხმებული რიცხვების მიხედვით მოხდება სხვადსხვა მიმართულებების გათვლა შესაბამის სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესში.

**ბ-ნმა დავით ანანიაშვილმა**, საქართველოს პლიუს ჯგუფის დირექტორმა, დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია გლობალური ფონდის ახალი რეგიონული პროექტის – „პარტნიორობა აივ-თან დაკავშირებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის“ დაწყების შესახებ. პროექტს ახორციელებს ECUO. პროექტი ითვალისწინებს თემთა ორგანიზაციების გააქტიურებას, თემთა ორგანიზაციების კონსორციუმის შექმნას (2017 წლის 22 მარტს ჩამოყალიბდა 5 სათემო ორგანიზაციისგან წარმოდგენილი კონსორციუმი), თემის პრობლემებისა და საჭიროებების

იდენტიფიცირებას, მათ შესაბამის ასახვას სტრატეგიულ გეგმაში და სათემო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების მდგრადობისა შენარჩუნების უზრუნველყოფას.

ქ-მა თამარ გაბუნამ გააკეთა კიდევ ერთი განცხადება იმის თაობაზე, რომ ახალი ალოკაციის პერიოდისთვის გლობალური ფონდის მიერ შემოთავაზებული თანხების განაწილების საკითხს განიხილავს პასკ-ი და შესაბამის რეკომენდაციას გაუწევს ქსს-ს.

ქ-მა თამარ გაბუნამ შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მონაწილეობისათვის.

### **ძირითადი გადაწყვეტილებები:**

- გეგმების შემუშავება მოხდება გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი პროცესით და უზრუნველყოფილი იქნება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, მათ შორის შჯსდს, დკსჯეც, გლობალური ფონდის გრანტების ძირითადი მიმღები, სერვისის მიწოდებლები, სამოქალაქო და სათემო საზოგადოება და კერძო სექტორი.
- დოკუმენტების შემუშავების პროცესში კონსულტანტები შეხვდებიან თემატურ ჯგუფებს, ასევე გამართავენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს ძირითად ინფორმატორებთან.
- ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესში სათემო კონსულტაციები უზრუნველყოფილი იქნება ტუბერკულოზის კოალიციისა და ECUO-ს პროექტის ფარგლებში შექმნილი სათემო ორგანიზაციების კონსორციუმის პლატფორმების მეშვეობით.
- პასკ-ი შეთანხმდა, რომ წარმოდგენილი აივ და ტუბერკულოზის სტრატეგიული გეგმების მონახაზები ყოვლისმომცველია და მასში ასახულია ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრიორიტეტი.
- ორივე გეგმის მონახაზი გაზიარდება ქსს წევრებთან შესათანხმებლად

### **ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი**

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი